
საქართველოს
თავდაცვის რეზერვის
სისტემის კონცეფცია
(პროექტი)

საქართველოს მთავრობა

მარტი, 2012 წელი

შინაარსი

1. შესავალი	3
2. თავდაცვის რეზერვის სისტემის მიზანი და პრინციპები.....	4
3. თავდაცვის რეზერვის სტრუქტურა	5
4. თავდაცვის რეზერვის სისტემის მართვა	6
5. თავდაცვის რეზერვის სამომავლო განვითარება.....	7

1. შესავალი

წინამდებარე კონცეფცია განსაზღვრავს საქართველოს მთავრობის პოლიტიკას საქართველოს თავდაცვის რეზერვის სისტემის ფორმირებისა და შემდგომი განვითარებისთვის.

კონცეფცია ითვალისწინებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესში შემუშავებული დოკუმენტების (*ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა და ეროვნული სამხედრო სტრატეგია*) ანალიზს, დასკვნებს და რეკომენდაციებს. დოკუმენტის შემუშავებისას გათვალისწინებული იყო 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის დროს მიღებული გამოცდილების ანალიზი და დასკვნები. ამასთან, თავდაცვის რეზერვის სისტემის კონცეფციის შემუშავებისას გათვალისწინებული იქნა ნატოს და სხვა პარტნიორი ქვეყნების გამოცდილება.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკიდან გამომდინარე, დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის რეზერვის მიზანს და მნიშვნელობას, აყალიბებს სახელმწიფოს ხედვას რეზერვის პოლიტიკის შესახებ, აღწერს თავდაცვის რეზერვის სტრუქტურის ჩამოყალიბების, მისი მართვისა და ორგანიზების პრინციპებს.

საქართველოს მთავრობა აცნობიერებს, რომ რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარება არ არის ერთჯერადი პროცესი. გაგრძელდება მუშაობა სისტემის სამომავლო დახვეწის მიზნით და საჭიროების მიხედვით მოხდება მისი ადაპტაცია ქვეყანაში და რეგიონში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების შესაბამისად.

2. თავდაცვის რეზერვის სისტემის მიზანი და პრინციპები

თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარების მიზანია ქვეყნის თავდაცვითი შესაძლებლობების შემდგომი გაუმჯობესება. საქართველოს უსაფრთხოების გარემოდან გამომდინარე და ქვეყნის გეოგრაფიული თავისებურებების გათვალისწინებით, საქართველოს თავდაცვის დაგეგმვა ეფუძნება „ტოტალური თავდაცვის“ პრინციპს. გარე აგრესიის შემთხვევაში საქართველოს ტერიტორიის დასაცავად შეიარაღებული ძალების მზადყოფნის გარდა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვის რეზერვის სისტემის ეფექტიანობის ამაღლებას. რეზერვის ახალი სისტემა მიმართული იქნება რეზერვისტების მომზადების, მათი მართვისა და კონტროლის ხარისხის გაუმჯობესებასა და ტერიტორიული თავდაცვის უზრუნველყოფაში მოსახლეობის ფართო ჩართულობაზე.

ეროვნული თავდაცვის სისტემის სრულყოფილად ფუნქციონირებისთვის და მასზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს შეიარაღებული ძალების აქტიური კომპონენტის, ასევე მისი სარეზერვო პოტენციალის/რესურსის რაციონალური გამოყენება თავდაცვის დაგეგმვისას.

საქართველოს პრიორიტეტს წარმოადგენს რეზერვის ისეთი სისტემის განვითარება, რომელიც ომის შემთხვევაში შესძლებს შეასრულოს ქვეყნის ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვისათვის საჭირო ამოცანები, ხოლო ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს დახმარება აღმოუჩინოს სამოქალაქო ხელისუფლებას.

თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარება ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- **სიმარტივე და მოქნილობა** - რეზერვის მარტივი და ეფექტური სტრუქტურის და მოქნილი მართვის და კონტროლის სისტემის ჩამოყალიბება;
- **ხარისხი** - რეზერვისტების სათანადო აღჭურვა და მაღალ დონეზე გაწვრთნა;
- **ეკონომიურობა** - შეზღუდული რესურსების პირობებში მინიმალური ფინანსური დანახარჯებით მაქსიმალური შედეგების მიღწევა;

- დეცენტრალიზებული მართვა - დამოუკიდებლად მოქმედების შესაძლებლობების განვითარება;
- რეზერვისტის მორალის ამაღლება და საბრძოლო, პროფესიული და ტექნიკური უნარ-ჩვევების დაბალანსებული განვითარება;
- მეტი თავსებადობა შეიარაღებული ძალების ან/და სხვა უწყებების ოპერაციებთან;
- ეფექტური კომუნიკაცია მოსახლეობასთან, რეზერვისა და სამოქალაქო თავდაცვის მნიშვნელობის შესახებ;
- მიღებული გამოცდილების პერმანენტული და დროული ასახვა რეზერვის სისტემის შემდგომი სრულყოფისთვის.

მნიშვნელოვანია მუდმივად ხორციელდებოდეს რეზერვის სისტემის შეფასება და სრულყოფის გეგმების გადახედვა-შემუშავება.

3. თავდაცვის რეზერვის სტრუქტურა

თავდაცვის რეზერვი მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად იყოფა შემდეგ ორ კატეგორიად:

სახმელეთო ჯარების რეზერვი (შემდგომში თავდაცვის ძალები) - მისი ძირითადი ამოცანაა საომარი მოქმედებების დროს შეიარაღებული ძალების მოქმედი ქვედანაყოფების მხარდაჭერა და საჭიროების შემთხვევაში მათი სრულფასოვანი ჩანაცვლება; სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა, რაც განხორციელდება შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის გეგმებისა და მითითებების მიხედვით; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების დახმარება საგანგებო სიტუაციების დროს. სახმელეთო ჯარების რეზერვი კომპლექტდება სავალდებულო ან/და ნებაყოფლობით გაწვევის პრინციპით.

ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი - საომარი მოქმედებების დროს ძირითადად პასუხისმგებელია სამოქალაქო თავდაცვისა და ზურგის ოპერაციებზე. საჭიროების

შემთხვევაში კი ეხმარება სახმელეთო ჯარების რეზერვს. თავდაცვის ძალების გეგმებისა და მითითებების მიხედვით განსაზღვრული პასუხისმგებლობის რაიონის ავტონომიურად დაცვა, რომელიც დგინდება მათი საცხოვრებელი ადგილის შესაბამისად. კრიზისულ და საგანგებო სიტუაციებში ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი დახმარებას უწევს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს. ტერიტორიული თავდაცვის რეზერვი კომპლექტდება ნებაყოფლობითობის საფუძველზე.

4. თავდაცვის რეზერვის სისტემის მართვა

თავდაცვის რეზერვის სისტემის მართვას და კონტროლს უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბი (2013 წლიდან გენერალური შტაბი) და დაქვემდებარებული სტრუქტურები. შეკრებების პერიოდში:

- სახმელეთო ჯარების სარდლობა ახორციელებს სახმელეთო ჯარების რეზერვის საბრძოლო მომზადებას და მართვას;
- ეროვნული გვარდიის დეპარტამენტი (ტერიტორიული თავდაცვის დეპარტამენტი) ახორციელებს ტერიტორიული თავდაცვის საბრძოლო მომზადებას და მართვას.

რეზერვის სისტემის ეფექტური ფუნქციონირება საჭიროებს სწორ მენეჯმენტს, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის კოორდინაციას და მკაფიოდ განსაზღვრულ სამობილიზაციო სისტემას.

ასევე მნიშვნელოვანია თავდაცვის რეზერვის სისტემის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და ლოგისტიკური უზრუნველყოფა. რეზერვის ლოგისტიკური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია შეიარაღებული ძალების გრძელვადიან გეგმებში, პროგრამებსა და ბიუჯეტში.

5. თავდაცვის რეზერვის სამომავლო განვითარება

რეზერვის სისტემის განვითარებისას მნიშვნელოვანია უწყებათაშორისი კოორდინაცია როგორც სახელმწიფო ორგანოებს, ასევე სახელმწიფო ორგანოებს და ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოებს შორის.

რეზერვის სისტემის განვითარებისას მნიშვნელოვანია თვითმმართველობის ორგანოებსა და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებს შორის კოორდინაციის ხარისხის გაზრდა, რაც ითვალისწინებს სავარაუდო სცენარებზე დამყარებულ ერთობლივი გეგმების შემუშავებას და შესაბამისი სწავლებების განხორციელებას.

ეფექტური რეზერვის სისტემის დანერგვის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ქვეყნის მოსახლეობის აქტიური მონაწილეობა. შესაბამისად, რეზერვის სისტემის განვითარების პროცესში დიდი მნიშვნელობა მიენიჭება მჭიდრო ურთიერთობას სამოქალაქო საზოგადოებასთან, მიმდინარე პროცესებში მათი ჩართულობის გაზრდისა და რეზერვის სისტემის შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით.

ამასთანავე, ეფექტური თავდაცვის რეზერვის სისტემის განვითარება საჭიროებს მთელი რიგი საკითხების ეტაპობრივ დამუშავებას:

- თავდაცვის რეზერვის სისტემის საკანონმდებლო უზრუნველყოფა;
- თავდაცვის რეზერვის სისტემის უზრუნველსაყოფად საჭირო გრძელვადიანი ფინანსური გათვლების გაკეთება;
- სავალდებულო და პროფესიული სამხედრო სამსახურის გავლის შემდეგ რეზერვის კატეგორიებში გადანაწილების სისტემის ჩამოყალიბება;
- თავდაცვის რეზერვის სისტემის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე სტრატეგიულ და ოპერატიული გეგმებში შესაბამისი ცვლილებების ასახვა;
- მობილიზაციის სისტემის გადახედვა და მისი ადაპტირება ახალი რეზერვის სისტემის მოთხოვნების შესაბამისად;

- რეზერვის ახალი საწვრთნელი პროგრამების და რეგულარულ შენაერთებთან ერთობლივი წვრთნების გეგმების შემუშავება სავარაუდო კრიზისების სცენარების გათვალისწინებით ;
- ტერიტორიული თავდაცვის მხარდასაჭერად ქვეყნის მასშტაბით შესაბამისი გეგმების შემუშავება (ლოგისტიკა, კომუნიკაცია, ინფრასტრუქტურა);
- რეზერვისტთა უფლება-მოვალეობების საკანონმდებლო დონეზე განსაზღვრა და სოციალური დაცვის მექანიზმის ჩამოყალიბება.

ამ კონცეფციაზე დაყრდნობით, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო სხვა სახელმწიფო უწყებებთან კოორდინაციით შეიმუშავებს თავდაცვის რეზერვის განვითარების სტრატეგიას და დოქტრინას.